№ 221

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 221

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი ,,ივერია'' პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირება **3** მან. **50** კაპ.

**თავადი კონსტანტინე ნოდარის ძე ციციშვილი და დანი მისნი კნ. ელისაბედ, ნინო და ანნა ნოდარის ასულნი ციციშვილნი და რძალი მათი კნეინა ნინო თევდორეს ასული ციციშვილისა,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი საყვარელის ძმისას და უკანასკნელი ძვირფასის მაზლისას

**თავად ალექსანდრე ნოდარის ძის ციციშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ სოფელ ქარელში გარდაცვალებულის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად ამა ოქტომბრის 16, შაბათს, დილის 9 საათზედ. (2—166—1)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით გაიხსნა ქალაქ ფოთში

**„საბუხჰალტერო კურსები"**

კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლითა და ორის თვით იქნება და **ღირება ასი მანეთი.**

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

კურსებზედ ასწავლიან:

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორრესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გავუგზავნით პირველ მოთხოვნისათანავე.

(10—5) კურსების გამგე კ. მ. გოგინეიშვილი

**ქ. ქუთაისში**

**კბილის ექიმი**

**სალომე ი. კერესელიძე**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—11)

**ქართველ ქალთა სამკერვალო**

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის გამომჭრელი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 7-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია სასესხ-მიმცემო ამხანაგობის

**„შუამავალი"-ს**

საზოგადო საგანგებო კრების გაგრძელება. დაიწყება სრულს 7 საათზედ. ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნება ცალკე მოწვევის ბარათები. (2—6.—2)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—7)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

**ექიმი**

**კ. ს. გძელიშვილი**

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—53)

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის საქმეთა მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი შტაბს კაპიტანი თაკ, მაყაშვილი მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს-ძის სამურის მე-83 ქვეითა რაზმში.

ებოძათ: ქუთაისის მაზრას მე-3 განყოფილების მომრიგებელ შუამავალს კაპიტანს ქავთარაძეს—პოდპოლკოვნიკობა და სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობის გამო; არდაგანის მე-260 ქვეითა სათადარიგო რაზმის პოდპოლკოვნიკს ქაჯაიას—პოლკოვნიკობა და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან მუნდირით და პენსიით; ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის ოლქის დასახლებულ ადგილ-მამულების ზედამხედველობის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს ტიტულიარნი სოვეტნიკს ვაჩნაძეს—კოლეჟსკი ასესორობა.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან თემირ-ხან-შურის პოლიციის კანცელარიის მოსამსახურენი ჩაქ. მაჭავარიანი და გიორგი ლოლობერიძე.

## ახალი ამბავი

*** მცხეთის საპატრიარქო ტაძრის სასარგებლოდ შემოვიდა პირველ მაისიდგან ვიდრე 1 ოქტომბრამდე ამა წლისა 26145 მ. სულ იყო 34075 მ., გახდა 60,221 მანათი.—ეს ფული მომეტებულ ნაწილად არის მიღებული რუსეთიდგან. საყურადღებოა, სხვათა შორის, რუსის ცოლქმრის, უბრალო გლეხის ოჯახის, შემოწირულება. კითხვის-კითხვით მივიდნენ თურმე ესენი მათ ყოვლად უსამღვდელოეს ეპისკოპოს ლეონიდთან. ეპისკოპოსს ეგონა ესენი ახლად გადმოსახლებულთაგანნი უნდა იყვნენო, და შეეძლია თავისი წვლილი დასახმარებლად, მაგრამ იმათ გამოუცხადეს, რომ აქვთ სურვილი შესწირონ დიდს მცხეთის ტაძარს, ერთგულებისაგან თვისისა. „ჩვენს სამარხად გქონდა გადადებული 500 მანათიო, მაგრამ შევიტყეთ, რომ უნდა განახლდეს დიდებული მცხეთის ტაძარი, სადაც არის დაკრძალული კვართი უფლისა და ai მოგარიამევთ ჩვენს ნაღვაწსაო", ესა სთქვეს თურმე და მიართვეს მათ მეუფებას 500 მანეთი. მოხუცებულთ არ ისურვეს საგზაოდ ფულის მიღებაც-კი,—დავბრუნდებით როგორმეო.—

დიდება და პატივი ამ გვარ ადამიანთ! რასაკვირველია, 500 მ. დიდს რამეს არ შეადგენს, მაგრამ დიდი რამ არის კეთილშობილება სულისა. ჭეშმარიტად, „უფროს ყოველთას დასდვეს მათ ფასი საცავსა ამას. რამეთუ ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა დადვეს, ხოლო მათ ნაკლულევანებისაგან თვისისა; ყოველი, რაიცა აქვნდათ დასდეს საცხოვრებელი თვისი".

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა ყველა ნაწილის ბოქაულთ, დაუყოვნებლივ ცნობები წარმომიდგინეთ ქ. ტფილისის სახლის პატრონებისაგან სახელმწიფო საერო გარდასახადის აკრეფის შესახებო.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ წინადადება მიეცეს ქალაქის გამგეობას მოხსენება შეიტანოს საბჭოში ლუდ-ხანეებისა და სასმელების დუქნებისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ. სხვათა შორის განზრახულია, რომ ლუდხანები და სასმელების დუქნები 100 საჟენის სიშორეზედ იმყოფებოდეს ერთი მეორისაგან და რომ ლუდხანების მეპატრონე და მედახლე ქალები იყვნენ ხნოვანებით არა ნაკლებ 50 წლისანი.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სათანადო მთავრობამ დამატებითი ცნობები მოსთხოვა იმ სამეურნეო გამოფენის გამართვის შესახებ, რომელიც აღნიშნულ საზოგადოებას 1901 წლისათვის აქვს განზრახული.

*** 14 ოქტომბრიდგან ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში დაიწყება საოპერეტო წარმოდგენები ქ-ნის ა. გ. დაგმაროვის გამგეობით. პირველად ითამაშებენ ოპერეტს „ნატვრის თვალს", რომელშიაც, სხვათა შორის. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ტროცკისა, ბ-ნნი დმიტრიევი, ვლადიმიროვი, სევერსკი და ცნობილი კომიკი ბიიზი. მეორე წარმოდგენისათვის განზრახულია „Цыганскій баронъ", რომელშიაც ახალი მსახიობნი მიიღებენ მონაწილეობას. საოპერეტო დასის მომავალ წარმოდგენებში, სხვათა შორის, საყურადღებო

იქმნება ბალეტი, რომელიც შესდგება 5 ქალისა და 5 კაცისაგან პრიმა-ბალერინის ქ-ნის რუდოლფის მეთაურობით.

** ქართულ დრამატიულ საზოგადოების საერთო კრება დანიშნულია 17 ოქტომბრისათვის. ამ კრებაზედ მოისმენენ მოხსენებას მთავარ-მართებლის შემოწირულების შესახებ. ამავე კრებას დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წინადადებას წარუდგენს, რომ მთავარ-მართებლის-მიერ შემოწირული 2,000 მანეთიდგან ყოველ წლივ პრემიები დაინიშნოს საუკეთესო პიესებისათვის.

** ამ დღეებში მოხდება კახეთის-მევენახეთა კერძო სხდომა, რომელიც განიხილავს კახეთის მევენახეთა მომავალ კრების პროგრამას.

** გუშინდელის ჩვენის შენიშვნის შესავსებად, კახეთის მევენახეთა კრების შესახებ, ვაუწყებთ მკითხველთ კიდევ შემდეგს: განცხადება კრებაში მონაწილეობის მიღების სურვილისა უნდა წარდგენილ იქმნას არა უგვიანეს კრების პირველის დღისა; კრების სხდომები მოხდება საჯაროდ; კრების სამუშაოს შეადგენს მოხსენებათა წაკითხვა, განხილვა და დასკვნის დადგენა. ყოველგვარი მოხსენება კრების პროგრამაში მოხსენებულ საგნების შესახებ უნდა გაეგზავნოს მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს არა უგვიანეს 1-ლ ნოემბრისა. კრების დადგენილებანი წარედგინება მიწად-მოქმედების დეპარტამენტს მიწად-მოქმედების სამინისტროს-მიერ განსახილველად.

აქვე უნდა შევასწოროთ შემდეგი შეცდომა: ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ კრება გაიმართება 10 ნოემბრიდგანაო; ნამდვილად-კი კრება 20 ნოემბრიდგან თურმე დაიწყება და 25 ნოემბრამდე გასტანს.

** 10 ოქტომბერს კინაღამ უბედურება კიდევ დატრიალდა ყარსის რკინის გზაზედ. ის მატარებელი, რომლითაც გზის დასათვალიერებლად მიემგზავრებოდნენ კომისია, სახაზინო რკინის გზების ინსპექტორი და ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ველენეევი, ლიანდაგს გადასცდა, როგორც აღმოჩნდა, მატარებელი მიწის ზვავს თურმე მიაწყდა, რომელიც ნიაღვრისაგან ჩამოწოლილიყო. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

** ქალაქის გამგეობამ ქალაქის ინჟინრის თანამდებობაზედ მოიწვია გზათა სამინისტროს ინჟინერი მ. ი. ალიბეგოვი.

** 11 ოქტომბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგ. გომსა და ქარელს შუა სამგზავრო მატარებელი შეჩერებულ იქმნა იმის გამო, რომ ლიანდაგზედ ორს ადგილას ვიღაც ბოროტგამზრახველთ შპალები დაელაგებინათ.

** რადგან მკალავები ჭურჭლის მოსაკალად კალის მაგივრად ტყვიას თურმე ხმარობენ, ამის გამო ქალაქის საბჭოს მკურნალს გედალინს მიენდო დაათვალიეროს ყველა მკალავის სახელოსნო და მოკალვის ნიმუშები გამოსაკვლევად წარუდგინოს ქალაქის ლაბორატორიას.

** ქ. გორში 12 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს საყურადღებო საქმეს გორის მაზრის გლეხის შიო ხაგიძისას, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მან წინააღმდეგობა გაუწია კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ინსტრუქტორს ვლად. პეროვს სამსახურის ასრულების დროს.

** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ დროებითის განყოფილების სესსია ქ. ახალქალაქში დაიწყებს საქმეთა განხილვას 12 ნოემბრიდგან, ხოლო ქ. ახალციხეში-კი 16 ნოემბრიდგან.

** 23 ენკენისთვეს სოფ. ჭეშოში (პირ-იქით თუშეთია) მცხოვრებს ცოქო ომარაშვილს გროზნის ოლქის ქისტებმა ღამით დაუწვეს მთელის წლის მოსავლის პურის ძნა და თივა. როდესაც ცეცხლი მოეკიდა, ქისტებმა ასტეხეს თოფების სროლა და არავინ მიუშვეს საშველად, ხოლო როდესაც სულ ჩანაცრდა, ქისტები მაშინვე გაიქცნენ.

** „ახ. მ.“-ს ბაქოდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ აქაურ სატუსაღოდგან 12 ოქტომბერს ხუთი კატორგაში გასაგზავნი პატიმარი გაიქცაო.

** „ახ. მ.“-ს პეტერბურგიდგან აუწყებენ, რომ ყარსისა და ბათუმის ოლქების მემამულეთა ადგილ მამულის მხრივ განწესრიგების საქმე მალე გადაწყდებაო.

** ქიზიყი. წელს ქიზიყში ღვინის მოსავალი დიდის გვალვების გამო საშუალოც ძლივს იყო, თუმცა საუკეთესო ღირსების ღვინოები დადგა, რადგანაც წელს ვაზი ადრე გამოვიდა და ყურძენი კარგა დამწიფდა. ჯერ-ჯერობით სირაჯები არა სჩანან, ღვინოს წელს ფასი უნდა ჰქონდეს, თუ ჩვეულებისამებრ გაჭირვებულმა ხალხმა წყლის ფასად არ გადალვარა და მაზანდა თითონვე არ გაუტეხა.

** ქურთათის ხეობა-მთა. (კავკავის მაზრა). ამ ხეობაში ძლიერ შეწუხებულნი არიან მცხოვრებნი ტყის მცველებისაგან, ასე გასინჯეთ, ცხვრები რომ ცოტა გზას იქით გადაატარონ, იმაზედაც შარს უდებენ და ართმევენ ჯარიმას. მაგალითად: ამ ზაფხულს ქურთათელს ნიკოლოზ გაპოევს ბატკნები მიუდიოდა კავკავში გასასყიდად. ამ ხეობის ტყის მცველებმა მოუდეს შარი, რომ სახელმწიფო ადგილში აძოვებ და უნდა ბატკანი მოგვცეო. საბრალო გაპოევი არწმუნებდათ, რომ ამ ადგილებში ყველას ნება აქვს აძოვოს, რადგანაც ყარაული არ არის და რათ უნდა მოგცეთ ბატკანიო. ამნაირად, თავ-გასულმა ტყის მცველმა ჩასდო ბერდანკაში უტყვიო პატრონა, დაახალა გაპოევს, რომელიც სასიკვდილოდ დაიჭრა. ბევრი სხვანაირი შარიანობაც ხდება ხოლმე აქაურ ტყის მცველებისაგან, როგორც აქაურმა მცხოვრებლებმა დამარწმუნეს.

** სამტრედია. აქაურ მცხოვრებლების გაჭირვება უმეტეს ნაწილად ის არის, რომ აქ სამოსამართლო განყოფილება არ არსებობს. ამას წინად აქაურმა ვაჭრებმა და აგრეთვე მახლობელ ექვსმა სოფლის საზოგადოების მცხოვრებლებმა ამის შესახებ თხოვნა მიართვეს მთავრობას, მაგრამ ჯერ არა იცის რა,—დაგვიარსებენ სასამართლოს, თუ არა.

** სოფ. ნუნითი-ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). ამ სოფელში ორს ენკენისთვეს შემდეგი საცოდაობა მოხდა: ერთი საბრალო ობოლი ათი წლის ბიჭი მინდორში გაჰგზავნა ბიძამ ცხენის მოსაყვანად. ბიჭმა ცხენი დაიჭირა, საბელი მოაბა, წელზედ მოიბა და მერე ბორკილის გამოყრა დაუწყო ცხენს. საუბედუროდ ცხენი დაფთხა, ბიჭი აითრია და, სანამ თოკი გაწყდებოდა, ათრია და ქვებზედ უხალა წელი და თავი საბრალოს. ბიჭმა სამი საათიდა იცოცხლა და დიდის ტანჯვით განუტევა სული.

ამ სოფელში დიდძალი რაჭველობა ჩამოვიდა, რომელნიც სიმინდსა ჰყიდულობენ. ახალი სიმინდი აქ ამჟამად ზომა 35 კ. ჰფასობს. წრევანდელი სიმინდი ბარისოსებში სწორედ ოქროსა ჰგავს, ისეთი უზადოა და კარგად შემოსული.

** პოლიციის მე-5 და მე-6 ნაწილებში გაჩნდა თვალის ავადმყოფობა, რომელსაც გადამდების თვისება აქვს. ამის გამო სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ სთხოვა მკურნალს ტარსაიძეს, გამოგვიგზავნეთ რომელიმე სპეციალისტი მკურნალი მცხოვრებთათვის სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენადაო.

** 12 ოქტომბერს პოლიციის მე-10 ნაწილში ღამით შეიპყრეს 25 კაცი, რომელთაც არავითარი მოწმობის ქაღალდი არა ჰქონიათ.

## სასოფლო-სამეურნეო სამოსწავლო გამოფენა.

როგორც გუშინ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ გამართა ტფილისში სასოფლო-სამეურნეო სამოსწავლო გამოფენა. გამოფენა 12 ოქტომბერს აკურთხეს და ამ დღიდგან 10 ნოემბრამდე იმის დათვალიერება ყველას შეუძლიან. ამ გამოფენას აზრადა აქვს აღნიშნოს და დაანახვოს მსურველთ ის, თუ კავკასიის ოლქის სასწავლებლებში სასოფლო მეურნეობის საქმე როგორ არის დაყენებული და რა წარმატებას ეღირსა იგი. გამოფენაში უმთავრესად მონაწილეობას იღებენ ის სასწავლებლები, რომელთაც სასოფლო მეურნეობის განყოფილება აქვთ. გამოფენილია ამ სასწავლებლების მიერ შემზადებული სხვა-და-სხვა კოლექციები. მონაწილეობას იღებენ ტფილისის დირექციის სასწავლებელთაგან 8 სასწავლებელი, ხოლო ქუთაისის დირექციისა—22 სასწავლებელი. ამათ გარდა მონაწილეობას იღებენ აგრეთვე თერგისა და ყუბანის ოლქის, სტავროპოლის, ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიის სასწავლებელნიც.

სხვათა შორის გამოფენაზედ ყურადღებას იქცევენ შემდეგ სასწავლებლების მიერ გამოგზავნილი ნიმუშები: ტფილისის საბაღოსნო სკოლისა, გორის სამოსწავლო სემინარიისა, ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლისა, ზაქათალის სახელოსნო სასწავლებლისა, ზემო-ჭალის ერთკლასიან სკოლისა, გორის სამოქალაქო სასწავლებლისა, დიდ-ჯიხაიშის ორ-კლასიან სკოლისა, ბათუმის სახელოსნო სასწავლებლისა, ბახვის ორკლასიან სკოლისა, ძველ-სენაკის

# ფელეტონი

### ბიძია თომას ქოხი

ბიჩერ-სტოუსი

დასასრული *)

### X

საბრალო თომა უწყალოდ ნაცემი ეგდო ჩალაზედ თავისს ქოხში და საშინლად იტანჯებოდა. ალაგ-ალაგ ყავარ-ყავარ დახეთქოდა ხორცი სახრის ცემისაგან, და აუტანელს ტკივილებსა ჰგრძნობდა. მოძრაობის თავი აღარ ჰქონდა და წყლის წყურვილმა ხომ გაუჭირა საქმე.

— ღმერთო ჩემო, მომეც შეძლება უსიტყვოდ ავიტანო ყოველივე ეს —ჰლოცულობდა იგი:—წყალი, წყალი! დაიკვნესა მან სასოწარკვეთილებით, როცა ვიღაცის ფეხის ხმა შემოესმა.

მართლაც პატარა ხანს უკან შემოვიდა კასსი. იმან დაალევინა თომას წყალი, მოჰბანა იარები და ზედ წამლად რაღაცა ბალახები დაადო.

— აბა შე საცოდავო,—დაიწყო კასსიმ:—რა თავის გამოდება გემართა ბატონთან. ლეგრი ისეთი კაცია, რომ მაგისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. ოო, მე კარგად ვიცნობ მაგ პირქუშს. ხუთი წელიწადია, რაც მაგასთანა ვცხოვრობ და სულ ჩემ თავ-ბედს ვიწყევლი. ეხლახანს ვიღაც ახალგაზდა ქალი მოიყვანა, რომელსაც სახელად ემმა ჰქვიან, და თავისთანა ჰყავს. ამ ემმას თან დაბადება მოჰყოლია. ჰა, ჰა, დაბადება და ამ ჯოჯოხეთში! და ამასთან ველურად გადაიხარხარა.

— ღმერთო!—წარმოსთქვა თომამ: დავიჯერო შენს გაჩენილს უნუგეშოთ დასტოვებ?

— არ მესმის ღმერთმანი, რისთვის აწვალებინებ შენს თავს ტყუილა უბრალოდ სხვა ნეგრების გულისათვის? რაო, სიცოცხლე მოგბეზრებია თუ რა არის? უთხრა კასსიმ.

— მაგას ნუ ამბობ, ჩემო კასსი! გააწყვეტინა თომამ; ჩვენმა უფალმა იესომ ყველასთვის თავი გასწირა რაოდენი ტანჯვა არ გამოიარა, მაგრამ მაინც კიდევ ღმერთს იმათ პატიებასა სთხოვდა, რამეთუ არ იციან რას იქმონანო,—ამ სიტყვებით, თომამ აიღო დაბადება და ქრისტეს წამების ამბავი წაუკითხა კასსის.

კასსიმ უნუგეშოდ ჩაჰკიდა თავი.

— ეჰ, დაგვივიწყა უფალმა,—წაიდუდუნა მან მწარედ. თორემ განა ამისთანა უსამართლობა იქნებოდა ამ ქვეყნად. ხომ მხედავ, რა გავხდი ამათ ხელში, მე-კი ფუფუნებაში ვარ გამოზრდილი და კარგი სწავლა განათლებაც მივიღე. მამიჩემის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც ვერ მოესწრო თავისუფლების ქაღალდი მიეცა დედაჩემისათვის, გაგვყიდეს, ახალგაზდა და ლამაზი ვიყავ. ბატონს, რომელმაც ჩვენ გვიყიდა, შევუყვარდი და მეც მომეწონა იგი. ცოტა ხანში ორი ბავშვიც გვეყოლა, მაგრამ, დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ჩვენი ბედნიერება. ჩემმა მაზლმა გვიმტრო, გაგვაღარიბა და მე ვალებში გამყიდეს. ეგ კიდევ არაფერი, შვილებს გამაშორეს და ესენიც დაჰყიდეს! ღმერთო! ან-კი როგორ ავიტანე ყველა ეს. რატომ არ მომესპო ადრე და მალე ეს გასავერანებელი და საძაღლე სიცოცხლე.

მერე კიდევ ერთი შვილი მომეცა, მაგრამ ეს-კი აღარ ვაცოცხლე, ჩემის ხელით მოვუსწრაფე სიცოცხლე. სულ ერთი იყო, იმასაც არ ახეირებდნენ, და აი, სულ ბოლოს ამ ჯოჯოხეთ ლეგრის ხელში მოვექეცი. წინად მრწამდა ღმერთი და ვლოცულობდი კიდეც, მაგრამ ეხლა... ეხლა წაწყმედილი ვარ.

ამით დაათავა კასსიმ თავის გულსაკლავი მოთხრობა, ერთხელ კიდევ გაუსწორა თომას თავი, მიუდგა გვერდზედ წყალი და განშორდა.

საღამოზედ ლეგრი მისჯდომოდა მაგიდას და ერთ ჭიქა პუნშს შეექცეოდა, ეტყობოდა, ცუდს გუნებაზედ უნდა ყოფილიყო, რადგან მალე გაცხარებით ულვაშებს იგრეხდა. ასეც იყო. იგი თავის-თავის მადლიერი არ იყო რომ ასე უწყალოდა აცემინა თომა და ამით, ერთი საუკეთესო მუშა ხელი დაიკლო ამ გაცხარებულ მუშაობის დროს. ამ დროს დაიჭრიალა კარებმა და ოთახში კასსი შემოვიდა.

— რაო, დაბრუნდი ისევა!—მიეგება ლეგრი.

— მოვინდომე და დავბრუნდი, მერე რაო?—მიუგო კასსიმ.

— მოიცა, იცი რა გითხრა, ან ჭკვიანად მოიქეცი, ან ნეგრებთან იცხოვრე და იმათთან იმუშავე,—მიუგო ბრაზ-მორეულმა ლეგრიმ.

— სიმონ, გაფთხილდი!—თვალების ბრიალით გააწყვეტინა კასსიმ, იმას იმგვარი გავლენა ჰქონდა ლეგრიზედ, როგორიც აქვს ხოლმე ჭკვიანსა და მხნე ქალს ბრიყვსა და გაუთლელს კაცზედ.

როცა ლეგრემ, მოიყვანა ემმა, კასსიმ მფარველობა დაუწყო და ამასთან ერთად ლეგრის წინააღმდეგ ჰმოქმედებდა, ამათმა საქციელმა სულ გააცეცხლა ლეგრი და ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა დასასჯელად კასსი ნეგრებთან სამუშაოდ გაჰგზავნა. ამის დღევანდელმა საქციელმა სულ აამღვრია კასსი და ის მოსულიყო შეერცხვინა ამ გვარ მოქმედებისათვის.

— შენ მაგისთანა ქცევით ვერაფერს გახდები მაგასთან, ეუბნებოდა კასსი.

— აბა დავინახავთ თუ არა, წამოიძახა ამის წაქომაგებით გაბრაზებულმა ლეგრიმ: სულს ამოვართმევ და თავისას კი არ გავაყვანინებ.

ჯერ თომას იარები არც-კი შეხორცებოდა ხეირიანად, რომ საცოდავი ისევ სამუშაოდ გაჰგზავნეს მინდორში.

ერთ საღამოს თომა იჯდა და დაბადებას კითხულობდა, მაგრამ ამ ხელად როგორღაც ვერ უდებდა კითხვას გულს და ამისთვის პატარა ხანს უკან დაჰკეცა წიგნი და ჯიბეში ჩაიდო. ამ დროს მიუახლოვდა ლეგრი და დაცინვის კილოთი მიუბრუნდა.

— რაო, მოხვედი ჩემს ჭკუაზე თუ არა? ის არა სჯობიან, შენა სცემო ხოლმე, ვიდრე შენა გცემდნენ. მეორეც, ხომ ჰხედავ, რომ ეგ შენი ღმერთი ვეღარა გშველის.

— დამივიწყა ღმერთმა, თუ არა, მაგისი რა მოგახსენოთ, მიუგო მშვიდად თომამ: მხოლოდ მე-კი ყოველთვის აღვასრულებ მის მცნებათ.

— მაშ მოიცადე, შენს ოხტში მოვალ,—შეჰბღვირა ლეგრიმ და გაბრაზებულმა პირში შეაფურთხა.

ერთხელ ღამით თომამ სარკმელში მომდგარი კასსი დაინახა, რომელიც ნიშნებით უძახდა თავისთან.

*) იხ. „ივერია“. № 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავად-აზნაურო სკოლისა, ახალსენაკის ნორმალურ სკოლისა და სხვათა. ამ სასწავლებლებს გამოფენაზედ თავიანთი ნაწარმოების ნიმუშები აქვთ გამოგზავნილი: აბრეშუმის პარკები, ნერგები, მწვანილი, ქსოვილები, თესლები, ხილი და მრავალი სხვა. სასწავლებლებს გარდა, სხვათა შორის, გამოფენაში მონაწილეობას იღებენ: კავკასიის სააბრეშუმო სადგური, სოხუმის სასოფლო-სამეურნეო სადგური, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება, კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოება და სხვანი.

## ისტორიულ ნაშთთა თავგადასავალი

ორის ათასის წლის ისტორიულმა ცხოვრებამ ქართველს ერს მტკიცედ მოაკიდებინა ფეხი სამშობლო მიწა-წყალზედ და ამირანსავით ჯაჭვით დააბა. გაიარა ორი ათასმა წელმა და ამ ხნის განმავლობაში ბევრჯელ იცვალა ფერი ქართველის ერის ცხოვრებამ. მიზეზი ცხოვრების ფერის ცვალებისა ბევრჯელ გარეშე მტერთა შემოსევა შეიქმნებოდა ხოლმე, მაგრამ უფრო ხშირად-კი თვით ეროვნული უნარი წინ მსვლელობისა, უნარი წარმატებისა იყო. ისე იყო, თუ ასე, დიდ-დიდთა მეზობელ სახელმწიფოთ—რომისამ, ვიზანტიისამ, სპარსეთისამ და სხ. თავი ვერ შეიმაგრეს და წლის მოსავალივით ჩაკლებულ იქმნენ; აგერ მძლავრი ოსმალოს სახელმწიფოც სასიკვდილოდ ჰსთვლემს, სიცოცხლის უნარს მოკლებული, როგორც აწინდელი სპარსეთიც. ღვთის მოწყალებით, ქართველი ერი, მაინც წინ მიდის. ორმოცი წელიწადი არ გასულა ჯერ, რომ ჟურნალ-გაზეთები მოვიპოვეთ, საკუთარი თეატრი გავიჩინეთ, სოფლად წერა-კითხვა შევაყვარეთ და ფეხი ავადგმევინეთ, საკუთარი სკოლები გავიხსენით, თავი მოუყარეთ ჩვენს ისტორიულ ცხოვრების ნაშთებს ორს ალაგას, ვაჭრობა-მრეწველობაშიაც ლამის ფეხი შევდგათ და სხ.

მაგრამ ყოველივე ესე კიდევ ცოტაა და არაფრად მიგვაჩნია; ცოტაა იმიტომ, რომ ჩვენი ძველებური უნარი წინ მსვლელობისა ფრთა შეკვეცილია ჟამთა ვითარებათა წყალობით და ბევრის მნახველს და თავგადასულს ყველა ეგე გვემცირება.

აგერ ასი წელიწადი სრულდება, რაც ქართველმა ერმა თვისი პოლიტიკური თვით არსებობის ტახტი ძლიერს რუსეთს ჩააბარა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენშიაც მოისაზრებენ—რითი და რომელის დიდი საქმით აღინიშნოს ეს მიწურული საუკუნე, განვლილი რუსეთის მფლობელობის ქვეშე. ჩვენ-კი, ვითარცა ერთი მცირეთაგანნი, მივმართავთ რაოდენისამე სიტყვით ჩვენს თავად-აზნაურობას: სახსოვრად განვლისის ასისწლისა დააარსოს საგვარეულო მუზეუმები. კერძოდ რამდენსამე კაცს მივმართე კიდეც და თანხმოპა გამოაცხადეს. მართლაც რა სჯობს იმასა, რომ თითოეულმა საგვარეულომ თავი მოუყაროს ყველა ისტორიულს და განვლილ ცხოვრების ნაშთსა და თავმოწონებით აჩვენებდეს ქვეყანას თავისის მამაპაპის ნაანდერძევს? რა ჰსჯობს იმასა, რომ მაგალითად, საამილახვროში დღეს გაფანტულს, დაქსაქსულს და უცნობს იოსტორიულ ნაშთებს ერთად თავი მოვუყაროთ? ან საორბელიანოში, საერისთვოში, საანდრონიკოში, საციციანოში, სათარხნოში და სხვ?. დღეს „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნთსაცავთან არსებობს „საქართველოს მუზეი." აი, ჩვენის აზრით, ურიგო არ იქმნება ყოველმა საგვარეულომ შუშაბანდიან დაკეტილ შკაფებში მოაგროვოს თავისი ძველი ნივთები, რაც კი აღარ იხმარება, და ყველასათვის გასაცნობად გახადოს: ძველი იარაღი, ჭურჭელი, ნაქსოვ-ნაკერი და სხვ. ნივთები საშვილიშვილოდ შეინახება და უკვდავ ძეგლად გადაიქცევა ყოვლის საგვარეულოსათვის. თუ ესე არა, ვინ არ იცის, რომ დიდი ხანი არ გაივლის და ყველა ეგ ნაშთი გაქრება ჩვენის ქვეყნიდგან და ხახა მშრალნი დავრჩებით. რა იქმნა იმოდენა აუარებელი ძველი ნივთეულობა დიდის ოჯახებისა? ხუთასი დარახტული ცხენოსანი ახლდა ირაკლი მეფეს ინდოეთში, სამასი ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი დარახტული მხედარი ახლდა ერმოლოვს, სპარსეთ რომ შეება. აბა მიბძანდით დღეს და დათვალეთ, რამდენი-ღა დაგვრჩენია ან იარაღი, ან ძველი რახტი და სხ. სამხედრო სამკაული. რა იქმნა ქართველ დედათა სამკაული? ყოველი ამათგანი დღეს რუსეთში და ევროპაში უფრო ბევრი მოიპოვება, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ, ქართველნი, ალალ-მართალნი, გულუხვნი ვართ: ეწვეოდა ვინმე ჩვენს თავად-აზნაურთ რუსეთიდამ, ან ევროპიდამ, გამასპინძლებით ხომ თავისებურად გაუმასპინძლდებოდა, მაგრამ სტუმარს თუ მოეწონებოდა რამე ოჯახში, უარის თქმა როგორ შეიძლებოდა. მთავარ-მართებელი პავლე ციციშვილი ურმებით უგზავნიდა ხოლმე ძველ ნივთებს არაკჩეევს, რუმიანცევს და სხ.

კმარა, ბატონებო! ჩვენმა ძველმა დედებმა იცოდნენ ფასი ძველის სამკაულისა და სათუთად ინახავდნენ კიდეც. დღეს-კი ჩვენი განათლებული ქალები, შესდგმენ თუ არა ფეხს ახალ ოჯახში, ძველის გუჯრებით ლამპებს უკიდებენ და ბუხრებს ანთებენ, ვინიცობაა შეშა ნედლი შეხვდათ. სხვა ნივთებს სარდაფებში გახიზნავენ ნესტისა და ჟანგის მსხვერპლად. ასეთს მდგომარეობაში დიდს მადლს იზამთ, ბატონებო, თუ ძველ ნივთებს დაღუპვისაგან დაიხსნით და ერთად თავს მოუყრით. გვარისა და მამაპაპის სახელის სადიდებელად.

დღეს ჩავაბარე „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნთ-საცავის მმართველს ერთი თეფში ირაკლი მეფეს სუფრაზედ ნაქონი და თეთრი ფულის თალათინის ყუთი იმავე მეფისა იმ პირობით, რომ იგინი უნდა შეიქმნენ საფუძვლად „ანდრონიკაანთ საგვარეულო მუზეუმისა". ეს ძვირფასი თეფში და ყუთი გადმომცა კნეინა ქეთევან გიორგის ასულმა ჩოლაყაშვილისამ, რომელსაც უღრმესის პატივისცემით მადლობას მოვახსენებ. თუ საიდგან და რა გზით დაცულ იქმნენ ეს ნაშთნი კნეინა ქეთევან გიორგის ასულის ოჯახში,—ამის შესახებ, შემდეგს წერილში მოვილაპარაკებთ.

ვ. ცხვილოელი

## წერილი ფრონის ხეობიდგან

(ქართლი)

აგერ ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ფრონის ხეობა დაზარალდა სეტყვისაგან. დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ გლეხობა და თავად-აზნაურობა და შემწეობა-კი ჯერ არსაიდგან არ უნახავთ არც გლეხსა და არც თავადსა. სამწუხარო სანახავი იყო ეს დაცარიელებული სოფლები კალოობის დროსა. არსად არა სჩანდა კალო, არსაიდგან არ ისმოდა „ოროველას" ხმა, მინდორში—„ჭონოშუნის" ძახილი. ეს დაცარიელებული სოფლები მოგვაგონებდით უწინდელ დროს, როდესაც მტერი კარს ადგა და მთელი სოფელი გაიდოდა ხოლმე მტერთან საომრად. მართლაც უგულანი, ვისაც-კი მუშაკი ერჩოდა, საბრძოლველად წავიდნენ სხვაგან ლუკმა პურის საშოვნელად. მხოლოდ-კი სოფლებში შეგხვდებოდათ მოხუცებულნი და ისინი, ვისაც მუშაობა არ შეეძლოთ. ყველას სასყიდლი გაუხდა პური, ღვინო, საზამთრო სანოვაგე და საქონლის საკვები. ბევრმა გაჰყიდა ძროხა, კამეჩი, ხარი. გაიძახდნენ, რომ გლეხებს შემწეობაც მიეცემათ და ხელმწიფო გარდასახადიც ეპატიებათო, მაგრამ შემწეობის მაგიერ გარდასახადი გააწერეს და უკანასკნელ ჭირნახულს უყიდიან. ამ საწყლებს რიგიანი პატრონი და ურის მცდებელი არავინა ჰყავთ ჯერ.

თავად-აზნაურობაც დიდს გაჭირვებაში არის. ეგონათ, ბანკიდგან შემწეობა მოგვეცემაო, მაგრამ ჯერ-კი არაფერი სჩანს.

რაც შეეხება სეტყვისაგან დაზარალებულ სოფლების სახნავ მიწების რაოდენობას, საიდგანაც სრულებით არა შემოვიდა-რა, შემიძლიან დაახლოვებით გითხრა რომ ოქონაში დაზარალდა 900 დეს., მუღრისში 150 დეს., სხლითში 150 დეს., კნოლეში 400 დეს., ავლევში 500 დეს., ცერონისში 700 დეს., თამარაშენში 100 დეს., ბრეძაში 600 დეს., საცხისურში 300 დეს., აბისში 300 დეს., ბერძნულში 100 დესეტ., ფრინევში 100 დესეტინა. სულ 4,300 დეს.

ორთაშუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ შემოსავალი დესეტინაზე ოთხი თუმანი, სულ ზარალი შესდგება 172,000 მანეთისა.

—

სოფ. კნოლესა და საზოგადოდ ამ ჩვენს ხეობაში სასოფლო მეურნეობას რომ ხელი მოჰკიდოს კაცმა, ძნელია. აქ სხვის საკუთრებას პატივს არა სცემენ და იმას სცდილობენ, რომ როგორმე მეზობელს ზარალი მისცენ. თავდაპირველი ხელის შემშლელი მეურნეობისა ის არის, რომ შინაური საქონელი: ცხენი, ღორი, ხარი, კამეჩი, ძროხა ყველას თავისუფლად და უმწყემსურად ჰყავს გაშვებული. გარდა ამისა ვენახის ღობეებს უტეხენ ერთმანეთს, მალვით საქონელს შიგ ურეკენ და სხ. მეტადრე სოფ. კნოლე არის ამოკვარდნილი აქაურ თავადიშვილების საქონლისაგან.

—

26 სექტემბერს გორის მაზრის მამულების სამხანაგო საწყობის განყოფილება გაიხსნა სოფ. კნოლეში და აკურთხეს კიდეც. კურთხევას დაესწრნენ

---

— თომა, წასჩურჩულა მან, როცა იგი მიუახლოვდა: თუ გინდა განთავისუფლდე, მომყე უკან.

მაგრამ თომა არ იძროდა ადგილიდგან.

— წავიდეთ რაღა! არ იშლიდა თავისას კასსი,—აი ცული მოვამზადე, ლონე-კი არ შემწევს, რომ ეგ აბეზარი ლეგრი მოვაშორო სამუდამოდ ამ წუთისოფელს.

— არა, ჩემო კასსი, მაგის თანახმა არა ვარ, მიუგო თომამ: მარჯვენა ხელის მოჭრას დავთანხმდები და მაგას კი არა.

— მაშ მე თითონ წავალ.

— არა, კასსი, თუ ღმერთი გრწამს თავი დაანებე მაგ აზრს შეევედრა თომა: ნუ წაიწყმედ შენს სულს ყოვლად მოწყალე იესოს, თავისის სისხლის გარდა, არავის სისხლი არ დაუთხევია და ყოველთვის ამას გვასწავლიდა „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო".

ეს სიტყვები ისეთის სიმტკიცით იყო წარმოთქმული, რომ ცრემლით სავსე თვალებთან ერთად ჯეროვანი გავლენა იქონია კასსიზედ.

იგი ბავშვსავით ატირდა და მწარედ ჩაჰკიდა თავი.

— კასსი, დაიწყო ისევ თომამ თუ მაინც და მაინც არ დაგიშლია, მოდი გაიპარეთ შენა და ემმა. ეს უფრო ემჯობინება მაგას.

— მერე შენც გამოგვყვები?

— არა, მიუგო თომამ: მე აქ დავრჩები და ჩემს ჯვარს ბოლომდის გავწევ!

კასსის წინადაც უფიქრია ამაზედ, მაგრამ ეს როგორღაც ვერა ხერხდებოდა. ახლა კი ჭკუაში დაუჯდა ეს თომას სიტყვები. იმათ გარდასწყვიტეს, ჯერ ტყუილად გაპარულიყვნენ მდევრის თვალების ასაბმელად და შემდეგ-კი, როდესაც ის კვალს დაჰკარგავდა, ეს გაქცევა გაემართლებინათ. როგორც სთქვეს, ისეც მოიცნენ. როცა გაქცევისათვის საჭირო მზადებას მორჩნენ, ისა და ემმა ღამით წავიდნენ და ჭაობებში დაიმალნენ.

ვიდრე ლეგრი ამათ გაქცევას შეიტყობდა და მდევრის მომზადებას შეუდგებოდა, კასსი და ემმა დაბრუნდნენ ისევ ფარულად საკუჭნაოში და აქედგან მაშინ განახორციელეს თავისი აზრი, როდესაც ლეგრიმ რაოდენისამე დღის ამაოდ ძებნის შემდეგ თავი დაანება იმათს ძებნას.

ამ ამბავმა ძალიან გააბრაზა ლეგრი და მხოლოდ შემთხვევას ელოდა, რომ ამათი ჯავრი სხვაზედ ამოეყარა. შეატყო თომას, რომ თუმცა ის ამათ გაპარვაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ დიდად-კი კმაყოფილი იყო ამ შემთხვევით და ამ აზრმა ხომ სულ გადარია.

ლეგრიმ დააძახებინა თომა და ნადირსავით მივარდა.

— შენ ეი, პირუტყვო, მითხარი ემ საათში, სად არიან ისინი, თორემ სულს ამოგაძრობ!

— ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი,—მტკიცედ მიუგო თომამ: მოვკვდები და არ...

— მაშ მოკვდი,—დაიღრიალა ლეგრიმ და ერთი თავის უშველებელი მუშტის დაკვრით საბრალო თომა მიწაზედ გაშხლართა.

— აბა ერთი უთუთქეთ მაგას!—უბრძანა იმან თავისს მოურავებს.

ისინიც შეუდგნენ ბრძანების აღსრულებას.

— ბატონო, ძლივს-ღა ჰფეთქავს,—სთქვა ზამბომ.

— იქამდის ურყტით, ვიდრე გამოტყდებოდეს,—ჰყვიროდა გამხეცებული ლეგრი.

თომამ შეჰხედა თავისს პატრონს და წარმოსთქვა:

— მე კი ამის მეტს ველარას მიზამ და შენთვის კი მიპატივებია ყველაფერი,—სთქვა ესა და გულ წასული დაეშვა ძირს. ამისმა გულკეთილობამ და მოთმინებამ ისეთს ხალხზედაც-კი იმოქმედა, როგორნიც იყვნენ ზომბო და კვიმბო. ლეგრის წასვლის შემდეგ გულ-წასული თომა ასწიეს ზამბომა და კვიმბომ და ისევ საკუჭნაოში გადიტანეს. აქ წყლულები მოჰბანეს და ყელში მოსასულიერებლად რამდენიმე წვეთი არაყი ჩაასხეს.

— ოჰ, რა ულმერთოდ დაგტანჯეთ, შე საწყალო. გევედრებით გვაპატივე,—შეჰვეწნენ ორივენი.

— ეჰ, ღმერთმა მოგიტევოთ,—წამოიკვნესა თომამ.

— ეგ რომელ იესოს ახსენებდი, როცა ჩვენა გცემდით?

თომამ სუსტის ხმით მოკლედ უამბო ორივეს ქრისტეს ცხოვრება და იმისი სიკვდილი.

— ეჰ, ჩვენ არა ვიცოდით-რა მაგისი,—ამოოხვრით დააყოლა ზამბომ: ღმერთო შეგვინდე ჩვენც, ულირსს მონებს,—წარმოსთქვა მან თვალებზედ ცრემლ მომდგარმა.

თომა სიხარულით დარწმუნდა, რომ მისი სიტყვები უნაყოფოდ არ დარჩა.

ორს დღეს არ გაუვლია ამ შემთხვევის შემდეგ, რომ ლეგრისთან მოვიდა ჯორჯ შელბი. მისს ოფელიასაგან მიწერილი წერილი მხოლოდ ორის თვის შემდეგ მისვლოდა ქ-ნ შელბისა, ე. ი. მაშინ, როდესაც თომა ლეგრის უკვე ნაყიდი ჰყავდა. მაგრამ სწორედ ამ დროს, თითქოს განგებ, ქ-ნმა შელბიმ თქვენი ჭირი წაიღო და თომას გამოხსნის საქმე კვლავ გადაიდო. კარგა ხანმა განვლო, ვიდრე საქმეებს წესიერს დონეზედ დააყენებდნენ და მხოლოდ მაშინ ძლივს მიეცა საშუალება ახალგაზდა შელბის თვით გამგზავრებულიყო ერთგულის მონის საძებრად.

კარგა ხნის ძებნისა და წვალების შემდეგ ძლივს მიაგნო ნამდვილს კვალს, მხოლოდ გვიანღა. როცა ჯორჯი შეიყვანეს თომასთან, ის უგონოდ იწვა, ხორციელად აღარ იტანჯებოდა, ღამღამით მიდიოდნენ მასთან მისი ამხანაგი ნეგრები, რომელნიც სცდილობდენ, რითაც კი შეეძლოთ, შეემსუბუქებინათ მისთვის ტანჯვა წამება, ჯორჯი მიუახლოვდა თომას საწოლს და დაეშვა ძირს, რა ნახა რა ყოფაშიაც იყო, თავი ვეღარ შეიმაგრა და მწარედ, გულ ამოსკვნით ატირდა. ამისმა ხმამ თითქოს გამოარკვია მომაკვდავი. ერთ ხანს ის მოვიდა გონს და სახეზედ კმაყოფილების ღიმილმა გადაჰკრა.

— დიდება შენთვის, ღმერთო! მაშ არ დაგვიწყებივართ? წარმოსთქვა ჩურჩულით: ეხლა კი ბედნიერად მოვკვდები, მომიკითხეთ ყველანი, მხოლოდ ნურაფერს კი ეტყვით ჩემს ყოფის შესახებ ჩემს საწყალს ხლოიას. საწყალი ცოლი! საბრალო შვილები! ნეტავ ვიცოდე მაინც, როგორ არიან! ან კიდევ ჩემი პატარა ბიჭი! გარდაეცით მათ, რომ იესო ყოველთვის ჩემთან იყო და მანუგე-

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ამხანაგობის ადმინისტრაციის წევრნი და თავად-აზნაურნი. განყოფილება რიგიანად არის გამართული, გაჭრობა, რაც შეეფერება წრევანდელ წლიწადს, გვარიანად მიდის, ხარჯს გარდა მოგება 10% რჩება. დიდი შეღავათი მოგვცა საამხანაგო საწყობის გაღებამ ყველას.

ყველა საქონელი, რაც-კი არის, ქალაქის მაზანდაზედ იყიდება და ზოგი ქარხნის მაზანდაზეა. მაგალითად, გირ. ნავთი 3 კაპ., გირ. შაქარი 16 კაპ., ფუთი მარილი 35 კ., გირ. საპონი 9 კ., ათი კოლოფი სპიჩკა 8 კ. და სხვ. მარტო ის რად ღირს, რომ ჩარჩს მედუქნეს კარზედ აღარ მივადგებით, ხვეწნას აღარ დავუწყებთ?

ოქონის საზოგადოების კანცელარია სოფ. კნოლეში კეთდება; აგრეთვე იმედი გვაქვს და სურვილიც არის ყველასი, რომ აქ დაარსდეს სასოფლო ქსენონი.

დუშიკო

## უცხოეთი

**ინგლისი და ტრანსვაალი.** ლონდონში შიშის ზარი თანდათან მატულობს და საფუძველიც აქვს ამ მოვლენას. ეხლა ეჭვი აღარავის აქვს, რომ ოცი მილის მანძილზე კიმბერლეის სამხრეთ მხარეს მდინარე მოდერზე რკინის გზის ხიდი გააფუჭეს ბოერებმა და ტელეგრაფის მავთულები დასჭრეს. ასე რომ, კაპშტადტსა და მეფეკინგს შორის, სადაც გამომწყვდეულია ლორდ სალისბერის შვილი, მიმოსვლა და ამბის გაგება შეწყვეტილია. იმ დეპეშის შემდეგ, რომელიც იუწყებოდა, რომ ორჯელ იერიშით მოსულს ბოერებს ინგლისის ჯარმა უკან დაახევინაო, არა იციან-რა მეფეკინგის ქალაქის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გუშინდელს დეპეშას, სადაც ნათქვამი იყო, რომ მეფეკინგთან ბრძოლის დროს ბოერებს 53 კაცი მოუკლეს ინგლისელებმაო. ამის გამო, რაღა თქმა უნდა, ინგლისელებს ძლიერ ეშინიან — კაი თუ ეს ქალაქი უკვე დაიმორჩილა მტერმაო. აფრიკანდიორების თანაგრძნობა ტრანსვაალის მიმართ ერთობ აღონებს ინგლისს, და ლონდონში იმის ფიქრსა და დარდში არიან — როგორ მოახერხებს ბრიტანიის ჯარი კაპის ახალშენში გავლას, იქაურმა ჰოლანდიელებმა აშკარად თუ დაგვიწყეს მტრობაო. გარდა ამისა ლონდონის მკვიდრნი ძლიერ აალელვა გერმანიის მთავარ შტაბის გაზეთში დაბეჭდილმა ერთმა წერილმა, რომლის ავტორი ამტკიცებდა, რომ ინგლისისათვის 150,000 კაცი მაინც არის საჭირო ბოერების დასაძლევადაო. ამოდენა მხედრობის გამოყვანა განა ადვილი საქმეა, როცა 25,000 სათადარიგო ჯარის კაცთა გამოწვევამ ისე დააფიქრა ლონდონელები?!

— ფრიბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთებს, რომ მეფეკინგისაკენ მიმავალი საავადმყოფო მატარებელი, სანამ მარაბოგის სადგურამდე მივიდოდა, იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო, რადგან გზა აოხრებული დაუხვდაო. მატარებელმა ძლივს მოასწრო დაბრუნება და კინაღამ ჩაუვარდა მტერს ხელში, რადგან ყოველის მხრიდგან შემოესივნენ ბოერები, რომელთაც ზარბაზანიც თან ჰქონდათო. ამის გამო მეფეკინგის ჯარი მოკლებულია ექიმობასა და წამალსაო.

— 4 ოქტომბერს პეტერ-მარიცბურგში ოფიციალური გაზეთის საგანგებო ნომერი გამოუშვიათ, რომელშიაც მოთავსებულია პროკლამაცია, რომ ინგლისის ქვეშევრდომნი ნატალში ბოერებს შველიან და იმათი მხარე უჭირავთო. პროკლამაცია აგონებს მცხოვრებთ, თუ რა სასტიკი სასჯელი მოელით მოღალატეთ და აცხადებს, რომ მთელს ჩრდილოეთ ნატალში სამხედრო დროის წეს-რიგის მიღებულიაო.

— გაზეთ „Italie“-ს სიტყვით, ინგლისს დიპლომატიურის საშუალებით ყველა სახელმწიფო დაუყოლიებია, რომ არც ერთი მათგანი ტრანსვაალის საქმეში არ ჩაერევა. რათა ინგლისს ასიამოვნოს, გერმანიის იმპერატორი ისე გაიტაცა ამ აზრმაო, — ამბობს გაზეთი, — რომ არ შეიწყნარა ჰოლანდიის თხოვნა ერთი სამხედრო გემი გაეგზავნა სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიის ქვეშევრდომთა დასაფარავადო. მაგრამ, როგორც იგივე გაზეთი აცხადებს, ომის შემდეგ დამოუკიდებლობის მოსპობა თუ დაუპირა ინგლისმა ტრანსვაალსა და ორანჟს, თავიანთ განცხადების თანახმად, ზოგიერთი სახელმწიფო მაშინ-კი დაარღვევს ნეიტრალიტეტს.

## დამაკვირდა

სიამაყე, მაღალთან შეერთებული, აკეთილშობილებს ადამიანს, ხოლო უძლურებასთან შეერთების დროს-კი ამცირებს

კარმენ სილვა.

***

შიში სიფხიზლესა ჰბადებს.

ბ. დ—შვილი

***

მფლობელნი, რომელნი ისაკუთრებენ სამეფოებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოხვეჭონ მათნი სიმდიდრენი, და ჯერეთ დაანგრიონ დაპყრობილთა შენობულებანი, დასწვან წიგნნი და ყანობირნი მათნი და მერე დახარჯონ იგინი, თვითვე მოხარკე შეიქმნენ და ანუ სრულიად აღაგვნენ პირისაგან ქვეყანისა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

ექიმი ნეიმანი შემდეგ ისტორიულს ცნობებს იუწყება იმის შესახებ, თუ პირველად როგორ გაჩნდა აფთექა და შემდეგ როგორ განვითარდა სააფთექო საქმე. უწინ, როდესაც მკურნალობა დაბალს ხარისხზედ იდგა, მკურნალსა და მეაფთექეს შორის გარჩევა არ იყო. ვინც მკურნალობის საქმეს ედგა, ის წამალსაც თვითონვე ამზადებდა. მაშინ ყოველ გვარ წამალს მხოლოდ მცენარეებისაგან ამზადებდნენ. რომის იმპერიის დროს, სატახტო ქალაქ რომში უცხო ქვეყნებიდგან მრავალი სამკურნალო მცენარეები მოჰქონდათ გასასყიდათ. ბევრს ამ მცენარეების მოკრება და ვაჭრობა დიდს შემოსავალს აძლევდა. მცენარეებს ყიდულობდნენ მკურნალები და წამლებს ამზადებდნენ. შემდეგ წამლების მომზადებას მცენარეებისაგან თვით ვაჭრებიც შეეჩვივნენ და ამ რიგად თავიანთი სავაჭრო აფთექის მაგგვარ დაწესებულებათ გარდააქციეს. აზიიდგან ევროპაში ხალხთა გადასახლების დროს მაშინდელი საზოგადოებრივი წესწყობილება სრულიად დამხობილ იქმნა; ამასთან ერთად სამკურნალო სწავლა-ცოდნაც დავიწყებას მიეცა. მკურნალობას ამ დროს მხოლოდ ბერებიღა მისდევდნენ მონასტრებში. ევროპაში თუ დაეცა მკურნალობა, სამაგიეროდ აღმოსავლეთში არაბების წყალობით იგი წარმატების გზას დაადგა. არაბებმავე პირველად განსაზღვრეს მკურნალისა და ფარმაცევტის სპეციალისტობა, თუმცა იქაც აფთექის პატრონნი პირველად მკურნალები იყვნენ, ე. ი. პირველად წამლებს თვით მკურნალნივე ამზადებდნენ. არაბთაგან ეს განსაზღვრა ორ სპეციალურ ხელობისა ჯერ ესპანიაში გადავიდა, შემდეგ ქვემო იტალიაში, სადაც მე-XII საუკუნის დასაწყისში დაარსდა პირველი აფთექები. სამკურნალო მეცნიერების განვითარებასთან ერთად, უფრო თვალ-საჩინოდ განისაზღვრა საფარმაცევტო და სამკურნალო სპეციალისტობაც. 1213 წელს იმპერატორმა ფრიდრიხ მეორემ პირველი კანონი გამოსცა, რომლითაც განწესრიგებულ იქმნა უფლებანი და ვალდებულებანი ორსავე სამკურნალო სპეციალისტობის წარმომადგენელთა. სალერმოსა და ნეაპოლში დაარსებულ იქმნა ორი უმაღლესი სამკურნალო სკოლა, სადაც მკურნალები და ფარმაცევტები სწავლობდნენ. წამლებს ამზადებდნენ სარეცეფტო წიგნის მიხედვით. ეს წიგნი შედგენილი იყო არაბთა მკურნალების მეზუესა და ავიცენნისა და აგრეთვე გალენისა და სხვათა მიერ. აქედგან მკურნალობის საქმე გერმანიაში გადავიდა, სადაც პირველი აფთექა დაარსებულ იქმნა 1241 წელს. 1345 წელს ლონდონში დაარსეს აფთექა, 1488 წელს—ბერლინში, 1484 წელს—საფრანგეთში, 1547 წ.—შვეციაში. რუსეთში აფთექა დაარსებულ იქმნა მე XVI საუკუნეში. ფარმაცევტებმა სამეცნიერო განათლების მიღება მე-XVII საუკუნიდგან დაიწყეს.

## ახალი წიგნები

დაიბეჭდა და ისყიდება ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურში, კრებული არითმეტიკის ამოცანების და მოქმედებების საწარმოებელი სავარჯიშო მასალა, შედგენილი ჩვენის პედაგოგის ა. ი. ნატროშვილის-მიერ. ეს წიგნი დაისტამბა მესამედ. იგი მოწონებული და მიღებულია სახელმძღვანელოდ უწმიდესის სინოდის მიერ ყველა საქართველოს სასულიერო წოდების სკოლებისათვის, აგრეთვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველოს რჩევისაგან საერო და სამოქალაქო სასწავლებლებისათვის. უწმიდესის სინოდის მიერ დამტკიცებულ ტფილისის სასულიერო სემინარიის მართველობის დადგენილების თანახმად, ესევე წიგნი არის მიღებული სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებისათვის. წიგნი სუფთად და ლაზათიანად არის გამოცემული. ფასი წიგნისა არის 35 კაპ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

**პარიჟი.** „Temps“-ს ატყობინებენ გლენკესთან ბურების მიერ მეორედ თავს დასხმის შესახებ: ინგლისელები დამარცხებულ იქმნენ, მათ ძლიერ უზარალნიათო.

**ლონდონი.** პალატაში კამათის დროს ობრაინმა განაცხადა, რომ ჩემბერლენს ისევე აქვს ხელები შესვრილი, როგორც უდიდეს დამნაშავეს, რომელიც ოდესმე დაუსჯიათ. ორატორს მოსთხოვეს, თავისი სიტყვები უკანვე წაეღო. მან უარი განაცხადა. მაშინ პალატამ 316 ხმის უმეტესობით 26 ხმის წინაამდეგ დაადგინა განდევნოს ობრაინი კრებიდგან.

ინგლისელებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ 21 ოქტომბერს ელანდსლააგტესთან ომის დროს: მოკლულ იქმნა 5 აფიცერი და 37 ჯარის-კაცი, დაჭრილ—30 აფიცერი და 175 ჯარის-კაცი. 7 კაცი უკვალოდ დაიკარგა.

**ბერლინი.** როგორც კერძოდ გაზეთებს ატყობინებენ ლედი-სმიტიდგან, ელანგსლაატესთან 4000 ინგლისელის წინაამდეგ 1200 ბური იბრძოდა. გენ. უაიტმა ხელ-ახლა განიზრახა რკინის გზის დაბრუნება, მაგრამ ვერ მოახერხა. მთავარ რაზმის მოახლოვებამ იძულებული ჰყო უაიტი ლედი-სმიტში დაწეულიყო.

„Local Anz.“-ს ატყობინებენ პარიჟიდგან: „აქ ამბობენ, რომ ინგლისთა ერთი რაზმი გლენკეს მახლობლად საფარში მოჰყვა და სრულიად ამოწყვეტილ იქმნა.“

**პრეტორია.** ჟუბერი მთავრობას დეპეშით ატყობინებს: „დღეს ლუკა მაიერს ბრძოლა ჰქონდა დენდისთან. ინგლისელებს, როგორც ამბობენ, დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენც ვიზარალეთ. ბურუსის გამო დაჭრილებით ვერ გაიგეს ბრძოლის შედეგი. ამბობენ 10 კაცია მოკლული და 25 დაჭრილიო“.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს ატყობინებენ ლედი-სმიტიდგან, რომ ბურებმა დღეს ხელ-ახლა შემოარტყეს ალყა გლენკეს ჟუბერისა და თვით კრიუგერის უფროსობით. ამბობენ, ბურები 9000 არიანო. ინგლისელებს გენერალი იული უფროსობს. იმის ბრძანებით, ჯარმა უკან დაიწიაო.

კოლსბერგიდგან ატყობინებენ „Times“-ს, რომ მდგომარეობა აქ ძალიან სერიოზულია, ბურებს ახალი ჯარი ეშველება დრიკოპიდგან, რომელიც სამის საათის სავალზეა. ქალაქის დაცვა შეუძლებელია. ქალაქის მილიცია უკუ იქცევა მტრის დანახვისათანავე.

**კაპშტადტი.** მთელს ქვეყანაში სურსათის ნაკლებულებაა. რამდენისამე კვირის შემდეგ უთუოდ შიმშილობა დადგება.


განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—19)


შებდა. ყველანი მიყვარს და ყველასათვისაც მიპატივებია თავიანთი დანაშაული...

ამ სიტყვებით განშორდა სამუდამოდ საბრალო უსამართლობის მსხვერპლი ამ ქვეყანას, ამ ტანჯვის წუთი სოფელს.

### XI

კასსი და ემმა სწორედ იმ გემზედ მოექცნენ, რომლითაც ჩვენი დჟორდჟი შელბი ბრუნდებოდა სახლში. იმან კასსი ვიღაც ნაცნობს მიამსგავსა, მხოლოდ კი ვერ მოეგონა ვინ უნდა ყოფილიყო იგი.

სხვათა შორის ამ გემზედ ერთი ფრანგი ქალი, გვარად დე-ტუ ემგზავრებოდა. როცა ქ-ნმა დე-ტუმ შემთხვევით გაიცნო დჟორდჟ შელბი და გაიგო კენტუკკიდგან არისო, ჰკითხა:

— უკაცრავად, შემთხვევით, ხომ არ იცნობთ ერთს მულატს, გიორგი გარრისს?

— როგორ არა,—მიუგო დჟორდჟმა: იმან ჩვენი მოსამსახურე ქალი ლიზა შეირთო, და კარგა ხანია, რაც კანადაში გაიქცა.

— უჰ, გმადლობ შენ, უფალო! შესძახა დე-ტუმ: ის ჩემი ძმაა.

და თან უამბო, რომ პატარაობისას მე და გიორგი სხვა და სხვა ბატონის ხელში ჩავცვივდით, და რომ ჩემმა ბატონმა ბოლოს ჩემზედ ჯვარი დაიწერა.

— ეხლა მე დავქვრივდი და კენტუკკიაში ძმის გამოსახსნელად მოვდიოდი. როგორი,რა ქალი შეხვდა გიორგის ცოლად? კითხა ქ-ნმა დე-ტუმ.

— ძალიან პატიოსანი და ჭკვიანი ქალია, მამა ჩემს ახალს ორლეანში ეყიდა ლიზა, როცა ის ჯერ კიდევ რვა წლისა ყოფილიყო. დედა ჩემმა შვილივით გამოზარდა იგი.

ამათ ლაპარაკს კასსი, რომელიც იქვე შორი-ახლო მჯდარიყო, ყურს უგდებდა. თან და თან მღელვარება დაეტყო. დჟორდჟის უკანასკნელ სიტყვებზედ ხომ სულ თრთოდა. ის უცებ წამოხტა და მიუახლოვდა დჟორდჟს.

— უკაცრავად, მიჰმართა კასსიმ: თქვენ ხომ არ გახსოვთ იმის სახელი, რომელმაც მამათქვენს მიჰყიდა ლიზა?

— როგორ არა, ნასყიდობის ქაღალდში სიმონი სწერია.

— ღმერთო! შეჰკივლა კასსიმ და გულ-წასული დაეშვა ძირს. როცა გონს მოიყვანეს, გულისწასვლის მიზეზი გამოცხადდა. ლიზა ამისი შვილი ყოფილიყო. ქ-ნი დე-ტუ და კასსი კანადაში გაემგზავრნენ, ერთი ძმის საძებრად, მეორე—ქალისა. მალე იპოვნეს კიდეც და ბედნიერმა და თავისუფალმა ოჯახმა ერთხმად გარდასწყვიტა მიეტოვებინა ამერიკა და ევროპაში გადასახლებულიყო.

ა. წინამძღვრიშვილი

Дозволено цензурою, Тифлисъ 13 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.